ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

**სხდომის ოქმი N 6**

2022 წლის 20 სექტემბერი, 14:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

**სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:**

**თინათინ ნიბლოშვილი** - სხდომის (საბჭოს) **თავმჯდომარე**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

**ნინო ვარდოსანიძე** - საბჭოს **თავმჯდომარის მოადგილე**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე;

**ოთარ გრიგოლია** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე;

**ნინო რუხაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის მოადგილე;

**სალომე კობალაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

**ელენე დუმბაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი;

**მაია გეგია** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე;

**მარიკა დარჩია** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;

**თათია ჩახვაშვილი** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;

**ნინო წულაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

**ნინო ჩიმაკაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

**მარიამ ზაქარიაშვილი** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

**ელეონორა კაპანაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე;

**მამუკა ბალიაშვილი** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნოს უფროსი;

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის დეტალური განხილვა.

სხდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, **თინათინ ნიბლოშვილმა,** მისასალმებელი სიტყვით გახსნა, დამსწრეებს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი გააცნო და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის მონაწილეები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022 - 2025 წლების სამოქმედო გეგმის პუნქტების მიხედვით დეტალურ განხილვას შეუდგნენ.

საბჭოს წევრებმა გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერებაზე, გენდერული სტატისტიკის როლის ამაღლებაზე, გენდერული აუდიტის უზრუნველყოფაზე, მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის მექანიზმების დამკვიდრებაზე, სამართლებრივი აქტების გენდერული ექსპერტიზის აუცილებლობასა და სხვა მნიშვნელოვან ამოცანებზე იმსჯელეს.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა ინიციატივა, გენდერული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის დოკუმენტის დამუშავების, დამტკიცებისა და აღსრულების პროცესის ეფექტური მართვის მიზნით, საკონსულტაციო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც, გენდერულ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უწყებების წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული. მოსაზრება მოიწონეს სხდომის წევრებმა. აღნიშნულთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა **ნინო წულაძემ,** რომელმაც, სხდომის მონაწილეებს შესთავაზა იდეა, მთავრობის ადმინისტრაციაში, გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირის სათანამშრომლოდ მოწვევასთან დაკავშირებით, რაზეც, საბჭოს წევრებმა მზაობა გამოთქვეს.

საბჭოს წევრმა, **ნინო წულაძემ** გააჟღერა ასევე ინიციატივა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მომხმარებელთა მიერ გაცნობის სტატისტიკის არსებობასთან დაკავშირებით. პირობითად, ერთი თვის მანძილზე რამდენი მოქალაქე ეცნობა საბჭოს აქტივობებს, მიღებული გადაწყვეტილებებს და სხვა. აღნიშნულზე, საბჭოს წევრმა, აპარატის უფროსის მოადგილემ, **ელეონორა კაპანაძემ,** დასძინა, რომ რომ ზემოხსენებული ფუნქციის დამატების შესაძლებლობა განხილული იქნება ტექნიკურად.

სხდომის დასკვნით ნაწილში, საბჭოს წევრებმა სხდომის ფარგლებში სამოქმედო გეგმაში შესატანი ცვლილებები და ასევე სხდომაზე გამოთქმული ინიციატივები შეაჯამეს.

სხდომის დასასრულს, საბჭოს თავმჯდომარემ, **თინათინ ნიბლოშვილმა,** საბჭოს წევრებს სხდომის მუშაობაში აქტიური ჩართულობისთვის მადლობა გადაუხადა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი

სხდომის მდივანი: გურამ ოქროპირიძე